საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1762

2017 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში, სოფელ შინდისში გმირულად დაღუპულ 17 ქართველ ჯარისკაცთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებზე ფილმის – „შინდისის“ გადაღებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 801 384 (რვაას ერთი ათას სამას ოთხმოცდაოთხი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**